

**მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი  
The Caucasus Institute for Peace, Democracy and Development**

თბილისი, მერაბ ალექსიძის 1, მე-11 სართ.

1, Merab Alexidze St., 11th floor, Tbilisi, Georgia

**საქართველო:** რელიგია,  
**საზოგადოება** სახელმწიფო,  
პრესის მიმოხილვა

**ბიულეტენი №20**  
**სექტემბერი, 2005 წ.**

## **საერო პრესა**

**„ხვალინდელი დღე“, 7-8.09.05.**

რებირიკა: „დედაქალქისია“

### **როგორ ადამიანს ეწოდება განათლებული**

„...როგორ შეიძლება, - წერს უსახელო ავტორი, - განათლებულები ვუწოდოთ იმ ადამიანებს (თუნდაც იყვნენ მეცნიერ-გამომგონებლები, უცხო ენათა მცოდნენი და სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელნი), რომლებიც თავიანთ სიცოცხლეს აგრძელებენ მარადიული ჯოჯოხეთის სატანჯველში?“ ურწმუნო ადამიანს, სტატიის მიხედვით, არ შეიძლება ვუწოდოთ განათლებული, არამედ „მეცნიერი, სწავლული, წიგნიერი და ნებისმიერი სხვა საქები სიტყვა, მხოლოდ არა განათლებული“. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად ავტორი იმ მეცნიერებს ახსენებს, ვინც ევოლუციის თეორიას მიუძღვნეს თავიანთი დისერტაციები თუ სხვა ნაშრომები. „ჭეშმარიტების ფესვებით უნდა გადვივდეს ყოველი ცოდნა... წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერს დიდი ცოდნით დიდი ბოროტების მოტანა შეუძლია.“

**”ახალი თაობა“, 7.09.05.**

შორენა კიწოწაშვილი

### **გამოიყენება თუ არა შუღლის ენა ქართულ მედიაში?**

6 სექტემბერს სახალხო დამცველის ოფისში რელიგიათა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. ამ დღეს საბჭოს კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატა – „საქართველოს მუსლიმანთა კონგრესი“, რომელმაც 5 სექტემბერს გაიარა რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში.

საბჭოს სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება რელიგიური საკითხების მედიაში გაშუქების პრობლემას მიექცა. სხდომაზე დამსტრე არასამთავრობო ორგანიზაციების და რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ ქართულ პრესაში მართლმადიდებლობისაგან განსხვავებული კონფესიების

მიმართ არაკორექტული და ხშირად ცილისწამებლური მასალები იბეჭდება. ცნობილმა რელიგიურმა დისიდენტმა, დეკანოზმა ბასილ კობახიძემ ქართული მედიის ენას ამ საკითხში "შუღლის ენა" უწოდა.

### **„ახალი ვერსია“, 14-15.09.05.**

თამარ ჩიბურდანიძე

#### **გილოცავთ ახალ წელს**

პუბლიკაცია ეძღვნება მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ახალი წლის 1 სექტემბერს (ახალი სტილით – 14 სექტემბერს) აღნიშვნას. ამ ტრადიციის მიზეზების ასახსნელად გაზეთი ამაღლების ტაძრის წინამდღვარს, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის ლიტურგიკის პედაგოგს, მღვდელ ბიძინა გუნიას ესაუბრა. საუბრიდან ვგებულობთ, რომ იმის თაობაზე თუ ვინ, რატომ და როდის დაამკვიდრა ეს წესი, მრავალი მოსაზრება არსებულა. (თარიღი ემთხვევა პირველი მსოფლიო კრების გახსნას; ამ დღეს მაცხოვარი ნაზარეთის სინაგოგაში შესულა და ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები წარმოუთქმამს; კონსტანტინე დიდმა ამ დღეს, 321 წელს, „გამანადგურებელი დარტყმა აგემა მაქსენტის“ (იგულისხმება მაქსენციუსი – რედ.), რითაც ქრისტიანობას გზა გაუხსნა და ა.შ.). ერთი სიტყვით, რესპონდენტის საუბრიდან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ამ თარიღს საკრალური მნიშვნელობა ჰქონია.

### **„ახალი თაობა“, 17.09.05.**

ინტერპრესნიუსი

#### **ძალავიშვილი იელოვას მოწმეთა შეკრების დარბევაში მონაწილეობას უარყოფს**

თბილისის საოლქო სასამართლომ გლდანის ეპარქიის წინამდღვრის ბასილ მკალავიშვილის და და იმავე ეკლესიის სტიქაროსანის პეტრე ივანიძის საქმის განხილვა განაახლა. ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლის მიხედვითაც მკალავიშვილს 6 წლით, ივანიძეს კი 4-ით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, ადგოკატებმა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს. ისინი მკალავიშვილის და ივანიშვილის ბრალდებების მოხსნას და მათ გათავისუფლებას მოითხოვენ. იელოვას მოწმეების დარბევებში და მათი ლიტერატურის დაწვაში მონაწილეობას მკალავიშვილი კვლავინდებურად უარყოფს.

### **„ახალი თაობა“, 21.09.05.**

მედიანიუსი

#### **გურამ შარაძე იელოველთა სექტის კონგრესის ჩატარებას აპროტესტებს**

გურამ შარაძე „გვაურთხილებს“ რომ, 23-25 სექტემბერს მარნეულში „იელოველთა სექტა“ კონგრესის ჩატარებას გეგმავს. „ზუგდიდში წარმატებით ჩატარებული კონგრესის შემდეგ იელოველები ნელ-ნელა დედაქალაქისკენ მოიწვენ“, - აცხადებს შარაძე და ხელისუფლებას მოუწოდებს „წინ აღუდეს ამ უმსგავსოებას და ბოლო მოუღოს ქვეყანაში უცხოური დაჯგუფებების პარაპაშე“.

მისი აზრით მართლმადიდებელ ეკლესიას კათოლიკური ორგანიზაციებიც დიდ საშიშროებას უქმნიან; მაგალითისთვის შარაძე სახელმწიფო სკოლებისთვის განკუთვნილ პროგრამას - „ვაშენოთ მომავალი“ ასახელებს. პროგრამას კათოლიკური დახმარების ფონდი ახორციელებდა, მაგრამ პატრიარქის ჩარევის შემდეგ პროგრამა შეჩერდა.

## **„ახალი თაობა”, 22.09.05.**

თეა მარხვაიძე

### **კოქითის პროგრაციაზე რეაგირებას მოვახდეთ**

სტატიაში, რომელიც სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის დღის“ აღნიშვნას ეხება, მოხსენიებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიერ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსი მეორისთვის გაგზავნილი წერილი. წერილში რუსული ეკლესიის წარმომადგენლების მხრიდან საეკლესიო სამართლის უხეშ დარღვევებზე საუბარი: ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ცხინვალში სტავროპოლისა და ვლაძიგავგაზის ეპისკოპოსი თეოფანე ჩასულა; კანონიკური დარღვევებია აფხაზეთის ეპერქიაშიც... ილია მეორე მაინც იმედოვნებს, რომ ასეთ ფაქტებს ბოლო მოედება და ერთმორწმუნე ერებს შორის ნდობა აღდგება.

## **„ქრონიკა”, 26.09-2.10.05.**

ლევან ცალულელაშვილი

### **რატომ ხათლავენ თბილისელ მიცვალებულებს მორმონები, რა მიზნით სთავაზობენ ახალგაზრდებს ინგლისური ენის შესწავლას, როდის ჰყავდათ მრავალი ცოლი და რა ინტერესები აქვთ საქართველოში**

„მოგწონს თუ არა ეს თუ ის სექტა, - წერს ავტორი, - არავინ გეგითხება. კანონი და კონსტიტუცია მათ დიდი ხანია მწვანეს უნთებს... საქართველოში რელიგიური „პავილიონის“ დახლზე უკვე რწმენის ფართო არჩევანია. ამ „ბაზარზე“ მართლმადიდებელ ეკლესიას სერიოზული ადგილი უჭირავს, მაგრამ როგორ შეინარჩუნებს იგი პოზიციებს მომავალში?“

ასეთი შესავალი ავტორს იმისთვის დასჭირდა, რომ „მორიგ რელიგიურ მიმდინარეობაზე“ - ამჯერად მორმონებზე - ორიოდე „კეთილი“ სიტყვა თქვას მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების დასაცავად. წერილში ამ რელიგიის დამაარსებლის ბიოგრაფიაა მოყვანილი, თვით მორმონები კი უზარმაზარი ქონების და შესაძლებლობის ორგანიზაციის წევრებად არიან წარმოდგენილი. საერთოდ, სტატიის მთელი სულისკვეთება ისეთია, მკითხველს მოუნდება მორმონის დანახვაზე თავს გაქცევით უშველოს.

სტატიის ბოლოს საუბარი ჰუმანიტარული დახმარების „ბნელ“ წარმომავლობას ეხება. დახმარება საქართველოში სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებისაგან მოდის, რაც თურმე ქართველთა სულებს და მართლმადიდებელ ეკლესიას საფრთხეს უქმნის.

## **„რეზონანსი“, 27.09.05.**

ება გულუა

### **მარნეულში ქართველ იელოველთა 2-დღიანი კონგრესი ჩატარდა**

სტატიაში წერია, რომ გურამ შარაძეს გაუკრცელებია ინფორმაცია იელოვას მოწმეთა კონგრესის თაობაზე და მოსახლეობისთვის მოუწოდებია „ამ უმსგავსობას წინ აღდგომოდა“. მიუხედავად ამისა, მარნეულში იელოვას ქართველ მოწმეთა კონგრესს მშვიდად ჩაუკლია; ახლა კი აქ არაქართველი მოსახლეობის კონგრესის ჩასატარებლადაც ემზადებიან. მარნეულში ჩასული „რეზონანსის“ უერნალისტი მეორე კონგრესის მოსამზადებელ ეტაპს დასწრებიდან და გამგებელს და ადგილობრივ მოსახლეობას გასაუბრებია. პუბლიკციის მიხედვით, იქაურ ქართველებს და აზერბაიჯანელებს „იელოველები“ დიდად არ ეპიტნავებათ, მაგრამ მათ მიმართ აგრესიას არც ისე ბვევრი ავლენს. მარნეულის მართლმადიდებელი მოსახლეობა ამტკიცებს, რომ იელოვას მოწმები აქცენტს სოციალურად დაუცველ ფენებზე აკოებენ, - სთავაზობენ ფულს, აწვდიან მედიკამენტებს, ხელს უწყობენ სამედიცინო

დახმარების მიღებაში და ა. შ. ამ გზით ისინი ხალხს იბირებენ. როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, ანტისექტიანტური განწყობა განსაკუთრებით ქართულ სოფელ წერეთელში შეინიშნება: „იეღოვას ხსენებაზე მათი წარმომადგენელი ვეგონე და კინადამ ჩამქოლეს“. გამგებელი ამირან შუბითიძე ჟურნალისტთან საქართველოს კოსტიტუციაში ჩადებულ აღმსარებლობის თავისუფლებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ოფიციალური ფორმით მასახლეობას მისთვის იეღოვას მოწმეების წინააღმდეგ პროტესტით არ მიუმართავს, თუმცადა სმენია, რომ მოსახლეობის მხრიდან პრეტენზიები მათ მიმართ მრავლადაა.

## სასულიერო პრეზ

### სააპატრიარქო და მასმედია

„აცხოვნე სული შენი“ ბეჭდავს ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლების ნაწყეტს სათაურით „ეკლესია და მასმედია“, რომელშიც თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლსა და მნიშვნელობაზეა საუბარი და ჩამოყალიბებულია თანამშრომლობის ფორმები, რომლებიც უნდა არსებობდეს ეკლესიასა და მასმედიას შორის.

კონცექციის მიხედვით, მასმედია, ”რომელსაც გააჩნია აუდიტორიაზე ზეგავლენის უსაზღვრო ძალა, ატარებს უსაზღვრო პასუხისმგებლობას ადამიანთა აღზრდაზე... ეკლესიის განმანათლებლური, აღმზრდელობითი და საზოგადოებრივსამშვიდობო მისია უბიძგებს მას ითანამშრომლოს საერო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან... ის ჟურნალისტები, რომლებიც აქვეყნებენ ადამიანთა სულების განმხრწელ მასალებს, უნდა დაისაჯონ ეკლესიის კანონიკური წესების შესატყვისად“. ეკლესიასა და მასმედიას შორის, წერია ამ კონცეფციაში, ”წარმოიქმნება ხოლმე ღრმა პრინციპული ხასიათის კონფლიქტები. ეს ხდება ხოლმე ღვის სახელის გმობის, სხვა სახის მკრეხელობის, ეკლესიის ცხოვრების შესახებ ინფორმაციის სისტემატიური შეგნებული დამახინჯების, ეკლესიასა და მის მსახურებზე აშკარა ცილისწამებისის შემთხდვევებში. ამგავრი კონფლიკტების წარმოშობისას უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას, ანდა საეპარქიო იერქარქიას ევალება, შესაბამისი გაფრთხილებისა და მოლაპარაკების, როგორც მინიმუმ ერთი მცდელობის შემდგომ, მიიღოს შემდეგი ზომები: შეწყვიტოს აღნიშნულ მასმედიის საშუალებბასა და ჟურნალისტთან ურთიერთობა; მოუწოდოს მორწმუნებს ბოიკოტი გამოუცხადონ აღნიშნული მასმედიის საშუალებას; მიმართოს სახელმწიფო ხელისუფლების ოგანოებს კონფლიკტის თაობაზე; დამნაშავე პირებს დაადონ კანონიკური სასჯელები, თუკი ისინი არიან მართლმადიდებელი ქრისტიანები.“ („აცხოვნე სული შენი“ №6. 09.05, გვ. 7).

**შეთქმულება ეკლესიის წინააღმდეგ**

გაზეთი „აცხოვნე სული შენი“ სათაურით „რეალური ხელისუფლება დღეს თავისუფლების ინსიტუტია“ ბეჭდაგს ინტერვიუს პატიმართა უფლებების დამცველთან, ქალბატონ ნანა კაკაბაძესთან. ქ-ნ ნანას აზრით, დღეს ქვეყანას ფაქტიურად მართავს თავისუფლების ინსტიტუტი, ყველა სტრატეგიული თანამდებობა მათი კადრებითაა დაკომპლექტებული. ქურნალისტის შეკითხვაზე, შეიქმნა ეს „მავნებლური სტრუქტურა“ დასვლეთის გარკვეული ძალების მცდელობით, თუ მან თვითონ მონახა დასავლეთში საყრდენი, კაკაბაძე პასუხობს, რომ თავისუფლების ინსტიტუტი „თავად აწვდიდა საზღვარგარეთ იმგვარ ინფორმაციას, რომ მართლმადიდებელი ეპლესია დემოკრატიისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ლახავს რელიგიური უმცირესობების უფლებებს“.

კითხვაზე, არის თუ არა „ეკლესიაზე განხორციელებული დარტყმების მთავარი მიზეზი გლობალიზაციის პროცესები, რომლებსაც რელიგიურ ენაზე ეკუმენიზმი ეწოდება“, ქ-ნი ნანა პასუხობს: „გარკვეულ უცხოურ ძალებს უნდათ საზოგადოებაზე გავლენა მათ ხელში იყოს. ერთადერთი ადგილი სადაც ჯერ კიდევ იგრძნობა ქართული სული საპატრიარქოა. ის დარტყმები, რომლებიც ხორციელდება ეკლესიაზე ანტიქრისტიანულ ხასიათსაც ატარებს... პოზიციისა და ოპოზიციის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი ნულის ტოლია. ხალხს მხოლოდ დვოისა და ეკლესიის რწმენადა დარჩა.“ გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან ქ-ნი ნანა ხედავს ქრისტიანობაში, მართლმადიდებლობაში: „ჩვენ უნდა ვიყოთ ისეთი, რომ უფლისგან გადარჩენა დავიმსახუროთ, თორემ მექანიკურად, ჩვენი ღვაწლის მგარეშე ივერია არ გაბრწყინდება“. („აცხოვნე სული შენი“ №6. 09.05, გვ. 7).

### **ქალისა და კაცის ურთიერთობა, თანამედროვე ყოფის საკითხები**

წინა თვეების მსგავსად რელიგიური გამოცემები საკმაოდ დიდ ადგილს უთმობენ ქალისა და კაცის ურთიერთობას და თანამედროვე ყოფის საკითხებს. ქურნალი „კრიალოსანი“ ბეჭდაგს ინტერვიუს წმიდა იოანე დვოისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარ დეკანოზ გიორგი სხირტლაძესთან.

როდესაც საუბარი შეეხება იმას, თუ რამდენად მართებულია ჯვრისწერამდე სექსუალური კონტაქტი, რამდენად აუცილებელია ქალის მიერ უბიწოების დაცვა, მამა გიორგი პასუხობს, რომ „არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელიც არ იყო ადრე, ან არ იქნება ხვალ... ყოველთვის იყო მრუმობა, კაცის კვლა, ქურდობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაც ცუდია, იმას „მივხედოთ.“ დღეს, მისი სიტყვებით, ტაძარში ყველანაირი ხალხი დადის. მაგრამ მამა გიორგი იმედოვნებს, რომ ყველა „თავის ფართობს“ იპოვის ეკლესიაში. იყო თანამედროვე, მისი სიტყვებით, არ ნიშნავს მარადიულ ფასეულობებზე უარის თქმას.

როდესაც უურნალისტი გ.წ. „ქალწულობის ინსტიტუტის“ ეხება, მამა გიორგი აღნიშნავს, რომ “ქრისტიანობაში უბიწოების ინსტიტუტი ძალიან მაღლა დგას. იგი თითქმის ანგელოზთა ცხოვრებას უტოლდება”. თუმცადა, მისი სიტყვებით, ადამიანმა, „რომელიც დაეცა, ქალწულობა დაკარგა, არ უნდა წარიკვეთოს სასო, ისევ ქრისტეს უნდა შეუდგეს.“

რაც შეეხება კიდევ ერთ საკითხს, ქალის ჩაცმულობას, მამა გიორგი აღნიშნავს, რომ „რჯულის კანონი კრძალავს ქალის აღვირასნილ ჩაცმულობას... ეს იქნება შარვლით, ნახევრად შიშველი თუ ჭრელა-ჭრულა სამგაულებით სიარული“. კითხვაზე, რას ნიშნავს ქალის თავისუფლება, მამა გიორგი პასუხობს: „მანდილოსნის უფლებაში გარკვეული მორჩილება იგულისხმება, არ არსებობს თავისუფლება მორჩილების გარეშე. რადგან ჭეშმარიტი თავისუფალი მხოლოდ მორჩილია“. („კრიალოსანი“ №7. 09.05, გვ. 26-27).

ეპლესიისა და თანამედროვე ყოფის საკითხებს ეხება უურნალ „ქაროზში“ დაბეჭდილი პუბლიკაცია „ღირებულებათა გადაფასება მოითხოვს შეფასებას“. (ავტორი ნანა ობოლაძე). სტატიაში გამეორებულია რელიგიურ პრესაში არა ერთხელ გამოთქმული შეხედულება, რომ მშობლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთი შვილების ჩაცმულობას – “მოდის აყოლამ ქალს თითქოს სირცხვილიც დაავიწყა და თავმოყვარეობაც... არ შეიძლება მოდა უფრო მაღალღირებული იყოს, ვიდრე მართლმადიდებლური მრწამსი... მეტისმეტად მოდის აყოლა კი ამპარტავნებაა და მეტი არაფერი“. („ქაროზი“ №7. 09.05, გვ. 28-29).

### **თფიციალური ვიზიტები**

„საპატრიარქოს უწყებანი“ ბეჭდავს ინფორმაციას აშშ-ს ახალი ელჩის ბატონ ჯონ ტევტის საპატრიარქოში ვიზიტის შესახებ. ელჩი შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს. უწმიდესი ესაუბრა სტუმარს საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ტრადიციებისა და სიწმინდეების შესახებ და შემოიფარგლა ეტიკეტით გათვალისწინებული ფორმულით კულტურულ-რელიგიური ურთიერთობების აუცილებლობის შესახებ, რომელიც, როგორც მან განმარტა, საჭიროა როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც. პასუხად საპატიო სტუმარმა დადო პირობა, რომ ყველაფერს გააკეთებს საქართველოს კეთილდღებისათვის. („საპატრიარქოს უწყებანი“, №9, 2005 წ.)

გაზ. „აღმსარებელი“ ბეჭდავს ინტერვიუს ცაგერისა და ლენტების ეპისკოპოს სტეფანესთან, რომელიც ეხება საქართველოს პატრიარქის ვიზიტს პოლონეთში. ეპისკოპოსის სიტყვებით, პატრიარქმა პოლონეთში ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკები მაიდანეკიც და ოსვენციმიც მოინახულა. ნანამა, ამბობს მეუფე სტეფანეს, წაკითხულს ბევრად გადააჭარბა: „ეს არის გაფრთხილება – რა შეიძლება გააკეთოს ადამიანმა, რომელსაც ზნეობრივ მხარეს იდეოლოგიით გაუთიშავენ“. („აღმსარებელი“ №8. 09.05. გვ. 3).

